№1569 2015 წლის 20 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2015 წლისათვის სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა განისაზღვროს 15 ერთეულით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**